

მდინარე ვერეს აუზში 2015 წლის 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნა და მისი
წინაპირობები.

*მერაბ ალავერდაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, დარეჯან კიკნაძე, ნანა კოკაია, ნესტან ხუფენია, ნუნუ
ცინცაძე*

ელ.ფოსტა: merab.alaverdashvili@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

მდინარე ვერეს აუზში 2015 წლის 13-14 ივნისს 5 საათიანი დიდი ინტენსივობისა და რაოდენობის ნალექის შედეგად სხვა წინაპირობებთან კავშირში განვითარდა კატასტროფული, ღვარცოფული წყალმოვარდა, რომელიც ჩამოყალიბდა მდ.ჯოხონისხეზე იშვიათი უზრუნველყოფის კლდოვანი ქანების მეწყერულ მოვლენისა და თვით მდინარის წყლის მაღალი ხარჯის ზედდების შედეგად, რომლის ხარჯმაც ვაკე-საბურთალოს გადასასვლელის გვირაბამდე შეადგინა 468მ³/წმ-მდე, გვირაბის ჩახერგვა მოხდა 2 სატვირთო ავტომანქანის - „კამაზი“-ს, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მასალის და ზედ მიყრილი მდინარეული ჩამონატანით ხე-ტყის სახით 00⁰⁵-00⁴⁵ საათის ფარგლებში, წყლის დონემ უეცრად აიწია 17 მეტრით, დაიტბორა გ. სვანიძის ქუჩა, გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, გაჩნდა 600 ათას მ³-მდე მოცულობის წყალსაცავი და მისი გარღვევის შემდეგ ქვედა წელში გამოიწვია ნგრევა, ზოოპარკის ძირითადი ნაწილის ცხოველებითურთ განადგურება და ადამიანთა მსხვერპლი. (დაიღუპა 20 ადამიანი, უზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება 2).

მდინარე ვერეზე 54 წლიანი დაკვირვებული მასალების მიხედვით, გაანგარიშებულ იქნა მდინარის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები, რომლის მიხედვითაც მდინარეზე ჩამოყალიბებული ღვარცოფული ნაკადის მაქსიმალური ხარჯი - 468მ³/წმ წარმოადგენს 0.01%-იან უზრუნველყოფას, ანუ 10 ათას წელიწადში ერთხელ შემთხვევას.

წარმოდგენილ იქნა ის ძირითადი წინაპირობები, რომლებიც წინ უძღოდა 13 ივნისის კატასტროფულ წყალმოვარდნას.